

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

სპეციალობა : მედიცინა.

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 360 კრედიტი.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა : დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება ეძლევა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც გაივლის ერთიან ეროვნულ გამოცდებს და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვებს უფლებას ისწავლოს უნივერსიტეტში მედიცინის სპეციალობაზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირებს.

სწავლების ენა: ქართული.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: კონკურენტუნარიანი და სათანადო კომპეტენციის მქონე კვალიფიციური მედიკოსების პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საბაზო განათლებითა და კლინიკური უნარ-ჩვევებით უზრუნველყოფა, პროფესიული პასუხისმგებლობისა და შემდგომი პროფესიული განვითარების აუცილებლობის გაცნობიერება.

სწავლის შედეგები: პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტისათვის ბიოსამედიცინო, კლინიკური და სოციალური დისციპლინების ცოდნასა და მის გამოყენებას პაციენტთან მიმართებაში, მკურნალობის პროცესში მათი ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით. კურსდამთავრებულები შეძლებენ ეფექტურ კომუნიკაციას პაციენტებთან და თანამშრომლობას მათი ოჯახის წევრებთან მიუხედავად მათი წარმომავლობის, რწმენისა და ფასეულობებისა, შეძლებენ პროფესიულ ასპექტში კოლეგებთან თანამშრომლობას. ისინი შეძლებენ მოთმინებით შეასრულონ პროფესიული ვალდებულებები, იყვნენ პაციენტების მიმართ პატივისცემითა და თანაგრძნობით გამსჭვალული.

ცოდნის შეფასების სისტემა: შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, 60 ქულა - სემესტრული შეფასება, 40 ქულა - დასკვნითი გამოცდა. გამოცდაზე გასვლის უფლების მოპოვებისათვის სტუდენტს, სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ქონდეს მინიმუმ 11 ქულა.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (**A**) **ფრიადი** – მაქსიმალური შეფასების 91% –100%;
- ა.ბ) (**B**) **ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 %;
- ა.გ) (**C**) **კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 %;
- ა.დ) (**D**) **დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ა.ე) (**E**) **საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 %.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (**FX**) **ვერ ჩააბარა**– მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (**F**) **ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.